№ 26
ხუთშაბათი, 1 თებერვალი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 26
ხუთშაბათი, 1 თებერვალი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და სახქაროდ. ფასები დაკლებულია.

ქართული თეატრი
კვირას, 4 თებერვალს, 1901 წ.
ბენეფისი
კ. ს. მესხისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ ნატალია მესხისა (რენელის) და ბ-ნ ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ

I
მადამ-სან-ჟენ
კომ. 3 მოქმედებად სარდუსი, თარ. კ. მესხისა.
ნაპოლეონის როლს შეასრულებს მობენეფისე, კატრინის როლს—ნატალია მესხი (რენელი)

II
დედის ერთა
კომედია 1 მოქმედებად, 3 გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანაშვილი, იმერიძე და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. გუნია
შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი ვლ. ალექსი მესხიშვილისა.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.
ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო კაბინეთი
დოქტორის
ი. იაკ. გოკიელისა,
იღებს ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.
მიხეილისა და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგან აქვს.
(100—256—18)

3 თებერვალს, ქ. გორში, პატივცემულ მანდილოსნების კნეინა მაკრინე ამირ ჯიბის და ნინა დურმიშხანის ასულის მაკარაშვილის თაოსნობით, გაიმართება

„ჩითოსანთა საღამო“,

რომლისთვისაც ტფილისიდგან მოწვეული იქმნებიან ზოგიერთა ცნობილი მომღერალნი და დამკვრელნი. ეს საღამო გაიმართება აქაურ საქალებო პროგიმნაზიის და საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. (3—უ—3)

მთავრობის განკარგულებანი.

ეპოძათ ხორუნჟობა 1-ლ ეკატერინოდარის ყაზახთა ჯარის პოდხორუნჟის სოსიაშვილს.

დათხოვნილ იქმნა საოჯახო გარემოებათა გამო ბაქოს გუბერნიის საერობო დარაჯის ყოფილი ინსპექტორი პოლკოვნიკი თავ. წერეთელი.

◆

ახალი ამბავი

*** 30 იანვარს, ტეხნიკოსთაგან შემდგარ განსაკუთრებულ კომისიას დაუთვალიერებია „ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ ახალი შენობა, რომელსაც აკურთხებენ კვირას, 4 თებერვალს. ამავე დღეს სცენის მოყვარეთაგან სათეატრო დარბაზში გამართულ იქმნება წარმოდგენა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზედ.

*** აზრადა აქვთ გააფართოვონ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლების პროგრამა. განზრახულია თეორიულ კურსს ორი წელიწადი მიუმატონ პრაქტიკულ სამუშაოსათვის. ამას გარდა ჰფიქრობენ, ამ სასწავლებლებში მხოლოდ რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები მიიღონ.

ფელეტონი

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე.

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

II

შუა ხანს გადაცილებული, ჰოლარა შერთული გიგოლი, ჯერ ისევ მხნე, გამრჯელი, შუათანა შეძლების მეოჯახედ ითვლება მთელს სოფელში. სხვა ოჯახიშვილებთან ამასაც შეეძლო ფეხი გაეწვდინა, თუ სახეში მივიღებთ იმის ქვითკირის სახლებს, ერთ გუთნეულს ხარს, ცხვარს, ძროხას, კარგა მოზრდილ ვენახს, ვაჟიშვილებს, რომელნიც სხვათა შვილების ხელში არ სტოვებდნენ ცხვარ-ძროხას. ამისი ცოლი პელაგოც არა ნაკლები მუყაითი, მშრომელი დედაკაცია. მთელი დღე პელაგოს ხელი არ დადგება, მისი მუხლი არ ჩაიხრება. ზამთარ-ზაფხულ ამოდენა ოჯახის პურის მცხობელი, მრეცხავი, დამკერ-შემკერი, კალოს ჩამშლელ-მქცეველი ეს არის. უფროსი ქალები ისე დაათხოვა, ბარგის შემზადება ისე მოუხერხა, გიგოლის არც კი გაუგია. გიგოლის უკვირდა, „ამ დალოცვილმა დედაკაცმა, ყველა ეს საიდამ მოახერხაო“. მხოლოდ თავისს სიცოცხლეში ერთ წელიწადს იყო გამწარებული პელაგო, როდესაც ამისმა უფროსმა ვაჟიშვილმა თავისს ნებაზედ დაიწერა ჯვარი. თუმცა დედ-მამა ამ ჯვარის წერის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ამას ურჩევდნენ შვილს: „შვილო, რაც სიაში დაგიწერეს, სანამ არ შეგიმზადებენ, ჯვარს არ დაგწეროთო“. არც მიხაკოს უნდოდა დედ-მამის ურჩი გამოსულიყო, მაგრამ სიმამრიანნი გაუძალიანდნენ: „თუ გინდა, აი ეგრე ცარიელ-ტარიელი წაიყვანე, თუ არა შენ შენთვის, ჩვენ ჩვენთვისაო“. კეკელოს ქუჩუნა, ცის ფერ თვალებს ისე მაგრა ჰყავდა შებოჭილი, მოჯადოვებული მიხაკოს გული, რომ კეკელოს მიტოვებას, დედ-მამის მიტოვებას ათას წილ ირჩევდა. ღვთით, მიხაკო იმდენი ემუდარა დედ მამას, ნება დართეს ჯვარის-წერისა და კეკელო ერთ გვირგვინის კაბის სინაბარა მოიყვანა სახლში. აი, ამ ჯვარის წერის მეორე დღიდგან მოყოლებული პელაგო თავისს გუნებაზედ აღარ იყო, გული ბუდეში, ქერქში არ უდგებოდა.

— ქა, სად რაღა მეთქმის, რომ ჩემს ოჯახში ასეთი უმზითვო რძალი შემოვიდა. ისეთ გაწყალებულ, უსახლკარო ბიჭებს მოსდით ბარგით სავსე ურმები, რომ კაცს შეშურდება, მეკი ესე გამაწბილა ჩემმა შვილმა, ცოცხლივ დამმარხა, ფიქრობდა გულჯავრიანი პელაგო თავის თავად და ამ გულის ბრაზს რძალზედ ჰხეთქავდა. ისეთი რა დღე გათენდებოდა, რა საათი გავიდოდა, რომ რძლისათვის სიცოცხლე არ ჩაეშხამებინა, უბარგობა არ წაესაყვედურებინა, ძმარი არ ედინა ცხვირ-პირიდგან. პირში ლუკმასაც-კი უთვლიდა. რძალი ჯერ ხნობით უთმენდა, გულში იკლავდა წყენას, შეურაცხებას, მაგრამ ცოტა ხანს რომ დაშინაურდა, დვრიტა დაიდვა, შეაჩვია პირი დედამთილს და ვაი ქვასა და წყალს. ამათი ოჯახი ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული, ერთ აურზაურს, ჩხუბს, წყევლა-კრულვას დასასრული არა ჰქონდა. დედამთილი თუ ერთს ეტყოდა, რძალი ხელ-ცალიერი არა რჩებოდა. ზედ მეტად ერთი ორად, ერთი სამად უბრუნებდა, ტყვიასავით მიახლიდა. საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ერთმანეთს ტყუილად ცუდი ხმები, ცილები შესწამეს, მოუგონეს. ამაზედ მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა და მიხაკო გაეყარა დედ-მამას, რომელთაც თითქმის ცარიელი გაუშვეს სახლიდგან თავისთვის ცალკე საცხოვრებლად. მხოლოდ პირველ მოსაწყობად ორიოდე გროში მოუტეხეს.

ეს რომ ჰქონდა პელაგოს ნაწვნევი, მით უარესად უკორკოტდებოდა გული. მთელი გზა შინამდე ცოლქმართ ისე გაიარეს, პელაგოს პირი არ დაუყენებია.

— არა, არა, თავს არ შევირცხვენ ქვეყანაში და ცარიელ-ტარიელ რძალს აღარ მოვიყვან სახლში, ალლიდა პელაგო ქმარს.

— სამ-ოთხ დღეს კიდევ უყუროთ და, თუ ვერ მოახერხეს შემზადება, მეტი ჩარა არ არის, ჯვრის წერა უნდა ავაჩქაროთ, სანამ დამარხვდება. განა იმას იტყვიან, მოყვრიანთ ქალი ვერ შეამზადესო რა, თითონ წუწკები არიან, ვერ მოახერხეს და იმიტომ ჩაშალეს ეხლა ქორწილიო.

— რეებს ამბობ, ადამიანო, გაკაპასებული მიჰვარდა პირში ქმარს პელაგო, ხელებ გასავსავებით, ერთი კი გითქვამს და მეორე თავ ცოცხალმა აღარ დაამთქნარო მაგისთანა სიტყვა, არ გაგონო, არა, საბას, თორემ ჩინგურს ჩაგვიგდებს, დღეღამე მოსვენებას აღარ მოგვცემს მიხაკოსავით.

— ნუ იცი ხოლმე მაგრე გაამრება, ადამიანო, ყბას არ დააყენებ? მე ვიცი, როგორც მოვიქცევი, შეუბრუნა მკვახედ ქმარმა.

— შე თვალებ-ამოსაჭუჭავო, თავათაც დამდგარი გაქვს თვალები, ეგრე მალე დაგავიწყდა, მიხაკოს ცოლმა რა დღე გვიჩვენა?

— ეგ სულ შენი ბრალია, შენის ენიდგანა მჭირს. ისე მოიქცა და რა წაიღო,—სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს

---

*) იხ. „ივერია“ № 25.

⁂ როგორც „კავკაზს“ დეპეშით ბათუმიდგან ატყობინებენ, ადგილობრივ დედათა გიმნაზიის შენობას ცეცხლი წაჰკიდებია და ერთიანად გადამწვარა.

⁂ განზრახვა აქვთ ტფილისში დააარსონ კავკასიისა და კასპიის იქით მხრის მადნების შემმუშავებელი საზოგადოება, რომელსაც ძირითადი თანხა 500,000 მან. ექმნება.

⁂ როგორც საქარის სანერგეს ანგარიშიდგან სჩანს, გასულ წელს სანერგესთან არსებულ პრაქტიკანტთა სკოლაში 20 კაცს უსწავლია მევენახეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა. 1900 წელს ამ მოსწავლეთა შესანახად დახარჯულა 2,145 მ. 95 კაპ.

⁂ დიდი ხანია, რაც ლაპარაკი აღძრეს საგუბერნიო დაწესებულებებში ცვლილებათა მოხდენის შესახებ. ამ საქმის გარდაწყვეტა შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფის ი. ლ. გორემიკინის თანამდებობიდგან გადაყენების შემდეგ შეჩერებულ იქმნა. ახალი სამინისტრო მხოლოდ ეხლა დაუბრუნდა ამ საქმეს; პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და შემდეგის სესსის დროს სახელმწიფო საბჭოში იქმნება წარდგენილი განსახილველად.

⁂ კიევში 25 იანვარს დაიწყო უფროსს საქარხნო ინსპეტორთა კრება. კრებას ლაპარაკი ჰქონია იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა შემოღებაც სასურველია ქარხნებში იქ მყოფ მუშათა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ზნეობის დასაცველად. კრებასვე განუხილავს პროექტი სახელოსნო დაწესებულებებში მთავრობის მხრივ ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

⁂ დღეს, 1 თებერვალს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამოფენის გამგე კომიტეტს სხდომა ექმნება მომავალ გამოფენის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ქალაქის გამგეობამ უკანვე დაუბრუნა ელექტრონის ფირმის „ჰელიოსის“ წარმომადგენელს ამ ფირმის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა. ამის გამო „ჰელიოსის“ წარმომადგენელს ზიგვარტს უთხოვნია გამგეობისათვის, მიჩვენეთ, როგორ უნდა შესწორდეს და შეიცვალოს ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი და დამინიშნეთ ვადა ახალის პროექტის წარმოდგენისაო.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულ უწყებათა თანახმად, ამიერ კავკასიის ქალაქებსა, „პოსადებსა“ და დაბებში უძრავ მამულებზედ ამ 1901 წელს გაწერილი გარდასახადი ასეა გამოანგარიშებული: ტფილისის გუბერნიაში—134,000 მან., ერევნისა—29,000 მან., ქუთაისისა—63,000 მან., განჯისა—29,000 მან., ბაქოსა—104,000 მან., და შავი ზღვის გუბერნიაში—6,000 მან.

⁂ ბაქოს „თეთრს ქალაქში“ ცეცხლის გაჩენის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ როტშილდს 30,000 მან. შეუწირავს.

⁂ დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში კაი ხანია, რაც გასაგზავნი და სხვათა გარდასაცემად მიღებული ფული იკარგება თურმე. დამნაშავე მოხელე გადაუყენებიათ და პასუხის-გებაში მიუციათ.

⁂ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს, ერთ-ერთს ქალაქის მკურნალს დაავალოს კუკიის სამრევლო საეკკლესიო სკოლების მოსწავლეთა მკურნალობა.

⁂ ტყის მრეწველის სერებრიაკოვის შუამდგომლობისა გამო კავკასიის უმაღლესს მთავრობას დაუწესებია ლეჩხუმის მაზრაში, სერებრიაკოვის ხე-ტყის სამრეწველო მამულში, საპოლიციო დარაჯის უფროს ცხენოსან ურიადნიკის თანამდებობა ბ-ნ სერებრიაკოვის ხარჯით.

⁂ რუსეთის საიმპერატორო წყალში დახრჩობისაგან დამხსნელ საზოგადოების ტფილისის ოლქის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გასულ 1900 წელს მტკვარში გადავარდნილთაგან დახსნილ იქმნა 27 კაცი, ამ რიცხვში თვით საზოგადოების მოსამსახურეთაგან 16 კაცი, ხოლო გარეშე კაცთაგან 11, და დაიხრჩო 11 კაცი.

⁂ სოხუმში არსდება საქალაქო ორ კლასიანი სასწავლებელი. („ახ. მიმ.“)

⁂ ქალაქის საყასბოსთან არსებული სამიკროსკოპო სადგური გაუქმებულ იქმნება მომავალ კვირიდგან.

⁂ 30 იანვარს, გამგეობის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა, რათა იჯარით გაცემულიყო ავლაბარში გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ორის თავშესაფარის აგების საქმე. ყველაზედ ნაკლები ფასი ითხოვა ბ-ნმა ჯალალოვმა, სახელდობრ 27,745 მ.

⁂ ქუთაისის რეალურ სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად გადადებულ იქმნა 180,000 მან.

◆◆

იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომავალნი.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად ვარშავაში გარდაიცვალა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეთინსკი. რუსული გაზეთები სწერდნენ მაშინ, რომ უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეთის მეფეთა უკანასკნელი შთამომავალი იყოო. როგორც ეხლა ერთ რუსულ გაზეთში ვკითხულობთ („Биржев. вѣд.“-ს დამატება „Огонекъ“, № 4), რუსეთში იმერეთის სამეფო გვარეულობის სხვა შთამომავალნიც ყოფილან. რუსეთში ორი საგვარეულო შტო იყო, იმერეთის მეფეთაგან წარმომდგარი: თავადნი ბაგრატიონ-იმერეთინსკები და იმერეთინსკები. ბაგრატიონ-იმერეთინსკები მეფე სოლომონ პირველის შთამომავალნი არიან, ხოლო იმერეთინსკები—იმის ძმის დავით მეფის შთამომავალნი.

სოლომონ მეფეს ერთად-ერთი შვილი ჰყვანდა, ალექსანდრე. 1763 წელს მეფემ გადასცა შვილს თავად წერეთელთა მამულები, სვერის და ჩხერის ციხეები, სამეფო სოფელი მუხური მუხურის ციხითურთ, ლომსიათ ხევის ხეობა, სოფ. თავასუ და ამ ადგილების მართვა-გამგეობა ჩააბარა, მაგრამ ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი ალექსანდრე, ადრე გარდაიცვალა; დარჩა მას მცირე წლოვანი შვილი გიორგი და პაპამ, სოლომონ მეფემ, ტახტის მემკვიდრედ ეს გიორგი დანიშნა. როდესაც სოლომონ მეფე გარდაიცვალა, ბატონიშვილი გიორგი ჯერ ისევ მცირე-წლოვანი იყო; ამ გარემოებით ისარგებლა სოლომონის ძმამ დავითმა და მეფედ მცირე-წლოვან გიორგის ნაცვლად თავისი თავი გამოაცხადა. დავითის შემდეგ კიდევ ტახტზედ ძალადვე სოლომონის მესამე ძმის არჩილის შვილი ავიდა—სოლომონ მეორე.

რათა სამეფო ტახტი სამუდამოდ თავისს შთამომავლობისათვის დაემკვიდრებინა, სოლომონ მეორემ შეიპყრო ბატონიშვილი გიორგი, ჩამოართვა მამულები და ციხეში დაამწყვდია, სადაც მან ცხრა წელი დაჰყო. ბოლოს, მეგობრების შემწეობით, გიორგი გაიპარა რუსეთში, სადაც ბატონიშვილმა იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ტახტის დაბრუნების შესახებ. მაგრამ გიორგი მალე გარდაიცვალა. გიორგის დარჩა კავკასიაში მეუღლე დარეჯანი და ორი მცირე-წლოვანი შვილი—ალექსანდრე და დიმიტრი.

სოლომონის წინააღმდეგ ტფილისიდგან ჯარი იქმნა გაგზავნილი. მეფე ახალციხეში გაიქცა (ახალციხე მაშინ ოსმალეთისა იყო), ხოლო იმერეთის სამეფო 1801 წელს რუსეთმა იმპერიას შეუერთა. 1810 წელს სოლომონ მეორემ აჯანყება მოახდინა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებულ იქმნა. 1811 წელს გიორგის ქვრივი დარეჯანი და შვილები პეტერბურგში წაიყვანეს, სადაც 16 წლის ალექსანდრე ლეიბ-გვარდიის ულანთა რაზმში იქმნა მიღებული, ხოლო 12 წლის დიმიტრი—პაჟთა კორპუსში. სწორედ ამავე დროს რუსეთში გადასახლდა დავით მეფის შვილიც ბატონიშვილი კონსტანტინე.

სახელმწიფო საბჭოს 1804 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით და მინისტრთა კომიტეტის 1812 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით იმერეთის მეფეთა შთამომავალთ ეწოდათ „უგანათლებულესი თავადნი იმერეთინსკები“. 1833 წელს იმპერატორმა ნიკოლოოზ პავლეს ძემ სოლომონ პირველის შთამომავალთა გვარს „ბაგრატიონიც“ მიუმატა და ამ დღიდგან მათ ბაგრატიონ-იმერეთინსკები ეწოდათ, ხოლო დავით მეფის შვილი კონსტანტინე ისევ იმერეთინსკად დარჩა. 1837 წელს კონსტანტინეს გაუჩნდა შვილი ალექსანდრე. აი ეს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იყო ვარშავის გენერალ-გუბერნატორად. რადგანაც ალექსანდრეს შვილი არ დარჩა, ალექსანდრეს სიკვდილით დავით მეფის შთამომავლობა მოისპო. დარჩნენ მხოლოდ სოლომონ პირველის შთამომავალნი, ბაგრატიონ-იმერეთინსკებად წოდებულნი.

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, სოლომონ პირველის შვილის-შვილს გიორგის ორი შვილი ჰყვანდა—ალექსანდრე და დიმიტრი. ორივენი სამხედრო სამსახურში შევიდნენ. ალექსანდრემ გენერალ-ადიუტანტის ხარისხამდე მიაღწია. გარდაიცვალა 1860 წელს, 69 წლისა, უცოლშვილო. მეორე ძმას დიმიტრის ცოლად გრაფ სტროინოვსკის ქალი ჰყვანდა; გარდაიცვალა 1845 წელს გენერალ-მაიორის ხარისხით. დარჩა დიმიტრის ორი შვილი—ალექსანდრე და დიმიტრი. დიმიტრის შესახებ, როგორც წერილის ავტორი გადმოგვცემს, არავითარი ცნობა არ დარჩა; უწყიან მხოლოდ, რომ ახალგაზრდობისას გარდაიცვალა უცოლშვილო. ძმა დიმიტრისა თავადი ალექსანდრე აღიზარდა პაჟთა კორპუსში, მსახურებდა ორენბურგის ყაზახთა ჯარში და გარდაიცვალა 1880 წელს. დარჩა ალექსანდრეს ქალი ოლგა და ვაჟი ალექსანდრე.

ეს უკანასკნელნი წარმომადგენელნი იმერეთის მეფეებისა თავიანთ დედასთან ერთად (ლიდია ალექსანდრე როზონოვის ასულთან) ქალ. უფაში სცხოვრობენ თურმე. შეძლება თითქმის არაფერი ჰქონიათ. თავადი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამ ჟამად ორენბურგის იუნკერთა სასწავლებელში სწავლობს, ხოლო ოლგა ალექსანდრეს ასული დედასთან სცხოვრობს.

ამ რიგად რუსეთში სოლომონ პირველის შთამომავალნი-ღა დარჩნენ.

აქვე მოგვყავს ცხრილი მეფეთა გვაროვნობისა.



◆◆

წერილი საინგილოდგან.

ჩვენი ქვეყნის დაბა სოფლებში ხშირად მოიპოვებიან ისეთნი პირნი, რომელთაც ქვეყნის სიკეთისათვის გული უცემთ, რომელნიც ცოდნას, მხნეობას, შრომას არა ზოგავენ ხალხის საკეთილდღეოდ და თვისს მოღვაწეობის სფერაში, თვისს არჩეულს ასპარეზზედ სცდილობენ სასიკეთო კვალი აღბეჭდონ. ამ პირთა მეოხებით სოფელი იღვიძებს, მას წინმსვლელობის, სანუგეშო გზაზედ გამოსვლის ნიშან-წყალი ეტყობა. ეს სამედო ნიშან-წყალი მეეთესის მომავლის რაოდენადმე ანუგეშებს მათ, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის ინტერესები, ვისი მომავალი ბედი და ვისაც აწმყო გულს უხუთავს თვისის არარაობით... ისეთნი პირნი, რომელთაც ხალხის საკეთილდღეოდ უცემთ გული, მოიპოვებიან საინგილოშიაც, იმ საინგილოში, რომელიც ოდესმე ჩვენის ქვეყნის საუკეთესო კუთხეს შეადგენდა, მაგრამ რომელშიაც შემდეგ, ისტორიულ მედგარ გარემოებათა გამო, ქართული ელემენტი ძრიელ შესუსტდა. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში ინგილოების ერთმა ნაწილმა იცნო თავისი თავი, იგრძნო ერთობა ქართველ ერთან და გამობრუნებას აპირებს. ეს ზემოდ დასახელებულნი პირნიც თავისის მოქმედებით ხელს უწყობენ, საზოგადოდ გამოფხიზლება-განვითარებას ნიადაგს უმზადებენ.

ამ ხელად მსურს მხოლოდ აღვნიშნო სოფ. კახის დედათა სასწავლებლისა და მის სათავეში მდგომ და თანამგრძნობელ პირთა მოქმედება, მით უმეტეს, რომ ამ სასწავლებელმა 14 ამ თვისას, ნინობა დღეს, თავისის არსებობის 10 წლის იუბილეი იდღესასწაულა. სასწავლებლის გამგეთა და თანამგრძნობელთ მეცადინეობა არ დაიშურეს, რომ ამ დღესასწაულს საუკეთესოდ ჩაევლო... საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგება და ამ დღისათვისვე განზრახულ შობის ხისათვის თვისი წვლილი მოაწოდა. ასე რომ ხელის მოწერით 100 მანეთამდე შეიკრიბა... დღესასწაული დაიწყო წირვით, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წირვის შემდეგ მამა ოქროპირიძემ გააცნო ხალხს წმ. ნინოს ცხოვრება, მისი ღვაწლი საქართველოში, აუხსნა ქართველ დედაკაცის მნიშვნელობა ძველად და დაუკავშირა ამას აზრი და დანიშნულება დედათა სასწავ-

---

მონაგარს არავის დავუთმობ, მოვკვდები-და, რაც უნდა ქნან.

— რა მალაპარაკებს, ტყუილად თავს რაზედ ვიტკიებ. თვალი გამოგტყვრა, ქვეყანა ჩვენ აგვიგდებს მასხარად, ეს რა ემართებათ, სულ მაგათ როგორ ებედებათ უმზითვო რძლებიო, თორემ...

— ქვეყნის ლაპარაკით არ ავშენებულვარ, რომ ქვეყნის ლაპარაკით გავღარიბდე, რაც უნდათ, ის ილაქლაქონ. ენაზედ ხომ კლიტეს არავის დაადებ. ყველამ თავისი სკლინტიანი ოჯახი განიკითხოს, ჩემთან არავის საქმე არა აქვს-რა...

— თავათ ხომ გადაჩემითებული ხარ, ი ბიჭს არაფერი გააგონო მაგისთანა, თორემ ამ ღამევე გაიქცევა და ჩაახარებს...

ამ ლაპარაკით მივიდნენ სახლში. ჯერ ქარი არც-კი ამოელო პელაგოს, რომ პირში მიჰვარდა საბას.

— ჰი, ვენაცვალე ღმერთს,— დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შესჭამსო—სწორედ შენც ეგრე მოგდის. გირჩევდი, გეხვეწებოდი, შვილო, გამიგონე, ყოველ კვირა იქ ნუ დაიარები, ოინს გიზამენ-მეთქი, მაგრამ შენ ჩემს რჩევა-დარიგებას ყურს არ ათხოვებდი, აინუნშიაც არ აგდებდი. აგერ ქვეყნის ვაჟებმა ჯვარი დაიწერეს, შენ-კი შეჰყურე?!.

— რა იყო, რა ამბავია, დედი, მაგრე რამ აგაშფოთა?!.

— შენ გასაგლეჯ სიდედრს რომ დეეწვას ძუძუები, როგორც მე იმათ ცეცხლი მომიკიდეს ანაზდეულად— აპალთია ჯავრისაგან გავგიჟდე დედაკაცი. აგრე მეუბნება: „რაო, ჯერ არსად გინახავთ, გაგიგონიათ, რომ მერე მიუციათ ქრთამ-მზითევიო“,— „სისაწყლეა, ჩვენც გავყიდით თამბაქოს და შეუმზადებთო“,—მაგრამ ეს სულ შენგანა მჭირს, ვის რა დავემდუროო. ისე გადაგიბირეს, რომ ჩემს სიტყვას ძალლათ აღარ აგდებდი და სუ იქ დაჰრბოდი. იმ პირშავებმა წამალი გაჭამეს, თუ რა?!.

— თავათ მგლის ქონსაც წამისვამდნენ, თორემ წამალს ვინღა იჩივლებს. შენი ვიყო მკითხავს ვაკითხინებდი, დაცინვის კილოთი ღიმილით მიუგო საბამ და თან ხელი გადაისვა ახლად ამწვანებულ ულვაშზედ.

— შენ გაიცინე, შენ რა გენაღვლება, ნაქონიან ცოლს მოიყვან სახლში, თუ ერთის ჩითის კაბის სინაბარას. საქმე ეხლა კი არ არის, ერთს ეხლა გეტყვი და ერთს, როდესაც წვრილ შვილი დაგეხვევა. მგონია ამბობდე, ჩემი გიჟი დედის ჰკვას რატო არ დაუჯერეო, მაგრამ მაშინ გვიან-ღა იქნება.

— აპალთია ჯავრისაგან პურსაც ველარ შევჭამ თორემ...

და ბესომ გულიანად გადიხარხარა.

— უყურე ამ... როგო კიდეც დამცინის?!. აბა მაშ შენ კარგი ბიჭი და მე ცუდი დედაკაცი, თუ შენ იმ თავ-გაგლეჯილს სახლში შემომგვრი ცარიელ-ტარიელს. აბა, ვნახოთ, აბა... და პელაგომ არ იცოდა რა უნდა ექნა ჯავრისაგან...

ე. მ—შვილი

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლისა, რომლის იუბილესაც დღესასწაულობდნენ. წირვის შემდეგ შემოსილი მღვდლები და ხალხი ადგილობრივის ნაწილის უფროსითა და მოხელეებითურთ გაემართნენ სასწავლებლისაკენ, რომლის ავანიც საუცხოოდ კოპწიად იყო მორთული, აქ გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც სადმრთო სჯულის მასწავლებელმა სკოლის ათის წლის მოქმედების ანგარიში წაიკითხა. ანგარიშიდგან სჩანს, როგორ ადგა ფეხი ამ სასწავლებელმა და რა სიკეთე მოუტანა ხალხს. საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობა ამ სასწავლებლის ისტორიიდგან.

ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორს მღვდელმონაზონს ლეონიდს (აწ ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი იმერეთისა) და მაშინდელს კახის ნაწილის უფროსს ბ. მერკულოვს, გაუთვალისწინებიათ რა დიდი საჭიროება დედათა სასწავლებლისა საინგილოსათვის, სადაც მუსულმანობის გავლენით დედაკაცის პიროვნული უფლებანი დაჩაგრული ყოფილან და საზოგადო მისი მნიშვნელობა უარყოფილი, განუზრახავთ ამასთანა სასწავლებლის დაარსებით ხალხის ცხოვრების წყვდიადში რაიმე სხივი შეეტანათ. დარწმუნებიათ ხალხი, რომ სასწავლებელი სიკეთეს მოუტანს და მისი დაარსება გარდაუწყვეტიათ. იგი ჯერ დიაკვნის მჭედლიშვილის სახლში ყოფილა და მასვე უსწავლებია, შემდეგ-კი სოფელს საკუთარი, შესაფერი სახლი აუშენებია ეკკლესიის ეზოში და მასწავლებლადაც ქალი დაუნიშნიათ. პირველს ხანებში სწავლის მსურველნი ძრიელ ცოტანი ყოფილან, და ეს ადვილი ასახსნელიც არის იმ მხარეში, სადაც დედაკაცი ჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა, საზოგადოებაში გამოსვლას უფრთხოდა და ეკკლესიაშიც-კი სრულიად არ დაიარებოდა. მაგრამ მამა ბლადოჩინის ცდამ და ამ სასწავლებელში მუდამ მასწავლებელ ქალთა თავდადებულმა შრომამ ხალხი სასწავლებელს შეაჩვია, შეაყვარა იგი. აქ უმასწავლებლიათ ქ-ნთ მახარაძეს (სიდამონიძე-ერისთავისას), ალ. ხახიშვილს, მ. უთიევს; 1896 წლიდგან მასწავლებლობს სოფიო უგულოშვილისა... ანგარიშში მოყვანილი იყო ცნობები იმის შესახებაც, თუ ამ სასწავლებელს რა გავლენა ჰქონია, რა ცვლილება შეუტანია მას ხალხის ცხოვრებაში. მართალია, 10 წელიწადი გრძელი ხანა არ არის ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც საგრძნობელი სარგებლობა მოუტანია. უპირველესი მიზანი—სარწმუნოებრივი აღზრდა, ქრისტიანობრივის ზნეობის განმტკიცება, რაიცა ამ მხარეში ასრე საჭიროა, სადაც უმრავლესობა მაჰმადის სარწმუნოებისაა, სასწავლებელს საკმარისად დაუკმაყოფილებია. იგი არამც თუ სძენს მოწაფეთ სწავლა-ცოდნას, ზნეობრივადაც ჰზრდის მათ: ზრდილობიანობას, სიფაქიზეს, სისუფთავეს აჩვევს და სხვა.—იმ სახლებში, სადაც მოწაფენი სცხოვრობენ, იშვიათად გაიგონებთ, რომ ერთმანეთს თათრულს სახელს ეძახოდნენ; ეს-კი ერთ უმთავრეს ნაკლად ითვლება აქაურს ქრისტიანებში.—კარგს შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზედ ისიც, რომ მოწაფენი კვირა-უქმე დღეს ეკკლესიაში სამოციქულოს კითხულობენ.—სწავლა-დამთავრებულნი სასწავლებელთან კავშირს არა სწყვეტენ: ისინი დაიარებიან სასწავლებელში, როგორც ხელ-საქმის უკეთესად შესასწავლად, აგრეთვე საკითხავ წიგნების გასატანადაც სასწავლებლის წიგნთ-საცავიდგან.—ამ სასწავლებლის მასწავლებელნი და თანამგრძნობნი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ მოწაფენი აქაურ ქართულს ჩაცმულობას შეაჩვიონ თათრულ ჩაცმულობის მაგიერ. ბევრის მოწაფისათვის იგინი საკუთარის ხარჯით უყიდულობენ საკაბეებს. ამ მხრივაც სასიკეთო შედეგი უნდა აღვნიშნოთ, რადგანაც 45 მოწაფეში ხუთიოდესდა აცვია აქაურად, „ინგილოურად“; დანარჩენთ ყველას ერთნაირად აცვიათ, როგორც საზოგადოდ სასწავლებლებშია მიღებული.

ყველა ზემოხსენებულიდგან აშკარაა, რომ ამ სასწავლებელს თავისი მისსია საუკეთესოდ შეუსრულებია, ხალხისათვის საგრძნობელი სარგებლობა მოუტანია და მომავალში უფრო ბევრის მოტანას შესძლებს.

ანგარიშში, მასწავლებელთა გარდა, აღნიშნულია აგრეთვე ისინიც, რომელთაც სასწავლებლისათვის დიდი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩენიათ: ნინო ოქროპირიძე, საპატიო მზრუნველი სასწავლებლისა—კაპიტანი გვლესიანი, პორუჩიკი მ. არღუტოვი, პორუჩიკი კ. ტარტარაშვილი, დეკანოზი პეტრე კონჩუაშვილი (წიგნების შეწირვისათვის) და მასწავლებელი ფარადაშვილი (უსასყიდლოდ გალობას ასწავლის)...

ამ დღესვე სადამოთი სასწავლებელში გამართული იყო შობის ხე. მოწვეულნი იყვნენ მოსწავლენი, სწავლა დამთავრებულნი და მრავალნი სხვანი. მდიდრულად შემკულმა და გაბრწყინვალებულმა ხემ უმაწვილები აღტაცებაში მოიყვანა: ვინდა შეატყობდა მორცხვობას? დეკურის დაკვრაზედ ჯერ თითო-თითოდ ჩამოუარეს ხეს, მერე ყველამ ერთად. შემდეგ მოწაფეებმა იმღერეს მშვენივრად და მწყობრად: „ეს რა ჩიტი მოფრენილა“, „პაპა მეყანდა მეომარი“ და სხვ. ხის გარშემოვლის დროს იმღერეს „თამარ მეფე და ხონთქარი“.—მშვენიერმა სიმღერამ ხალხი ძრიელ ასიამოვნა. დაიწყო ახლა ლექსების კითხვა ქართულად და რუსულად. სხვათა შორის, კარგად წაიკითხეს: „უმაწვილო იყავ უცვლელად“, „სამშობლო ხევსურისა“, „მაიმუნი და სარკე“.—შემდეგ ხალხს წაუკითხეს მოლოცვის დეპეშები, ნამასწავლებლართაგან გამოგზავნილნი, საპატიო მზრუნველის გვლესიანისა და სხვებისა. გათავდა თუ არა დეპეშების კითხვა, დაიწყო ბილეთების აღება და საჩუქრების დარიგება. გულის ფანცქალით ელოდნენ უმაწვილები, თუ რომელს რომელი სათამაშო ნივთი ერგებოდა.—ბილეთით ნარგებ სათამაშოების გარდა თითოეულს მოწაფესა და აგრეთვე სწავლა დამთავრებულს მიეცათ: თითო პარკი ხილი, თითო თავსახვევი, თითო წიგნი და სხვანი. მეათე საათი იყო, როცა ეს საუმაწვილო დღესასწაული დასრულდა. ყველანი, დიდით-პატარამდე, ნასიამოვნებნი დღესასწაულის მოთავეთ მადლობას უხდიდნენ; გაიარეს ბენგალის ცეცხლით განათებული ეკკლესიის ეზო და სახლებისაკენ გაემართნენ. გახარებული უმაწვილების ჟივილ-ხივილი სოფელში დიდხანს გაისმოდა.

ბ.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის გაზეთებმა სჯა-ბაასი ასტეხეს იმის შესახებ, თუ ახლად გამეფებული ედუარდი როგორ უნდა იწოდებოდეს. ზოგი იმ აზრისაა, რომ წინანდელი წოდება „მეფე დიდის ბრიტანიისა და ირლანდიისა, მცველი სარწმუნოებისა და იმპერატორი ინდოეთისა“ შესაფერი არ არის, რადგანაც ამით კანადა, ავსტრალია და კაპის ახალშენი სრულიად არ იხსენიება; ზოგის აზრით-კი, სრულიად საკმარისია წოდება: „იმპერატორი დიდის ბრიტანიისა და ინდოეთისა“, ზოგის აზრით, ამას უთუოდ უნდა მიემატოს სიტყვები: „მემკვიდრეობითი პრეზიდენტი ავსტრალიისა და კანადისა“. ეს ტიტული კარგია იმ მხრივ, რომ იგი შეეფერებოდა „ავსტრალიის რესპუბლიკის“ სახელთან, მაგრამ მოუხერხებელია იმით, რომ ინგლისის მეფეს ავსტრალიის გარდა, სხვა თვითმმართველობიანს ახალშენებთანაცა აქვს ამ გვარივე კავშირი. ასეთი ახალშენები არიან: ახალი ზელანდია, ნიუფაუნდლენდი, კაპი, ნატალი და სხვ. საკამათოთ გამხდარა აგრეთვე ის, თუ როგორ უნდა უწოდებდნენ მეფეს შოტლანდიაში: ედუარდ VII, თუ ედუარდ I.

საფრანგეთი. მთავრობის მიერ წარდგენილ პროექტის 1-ლი მუხლის განხილვამ მმართველობა სოციალისტებს შეახეთქა. სოციალისტმა გრუსიემ წინადადება შეიტანა, რომ ეს მუხლი შესცვალონ და მხოლოდ იმ ასსოციაციებს დაევალოთ აცნობონ ხოლმე მთავრობას თავისი დაარსება, აზრი და წევრთა რაოდენობა, რომელთაც ჰსურთ უფლება მიიღონ უძრავი ქონების შეძენისა. გრუსიე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო წეს-რიგისათვის მხოლოდ ისეთი ასსოციაციაა საშიში, რომელსაც ქონება აქვს; დანარჩენნი სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენო. გრუსიეს წინადადებას, სხვათა შორის, მხარი დაუჭირა რიბომ, რომელიც წინად ვალდეკ-რუსსოსა ჰკიცხავდა, რომ სოციალისტებს დიდს შეღავათს აძლევსო. ეხლა რიბოც გრუსიეს თანამოაზრეა და ასსოციაციების თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგი. პასუხის მისაცემად ტრიბუნაზედ თითონ ვალდეკ-რუსსო ავიდა. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ ასსოციაციები თუ თითონვე არ მიაწვდიან მთავრობას საჭირო ცნობებს, მმართველობა იძულებული იქნება ადმინისტრაციულის წესითა და რიგით მოჰკრიბოს ეს ცნობებიო. სოციალისტმა ფურნიერმა შემდეგი ცვლილება შეიტანა გრუსიეს წინადადებაში: „სარწმუნოებრივ ასსოციაციებისა გარდა, სხვა ყველას შეუძლიან მთავრობის დაუკითხველად შესდგესო“. პალატამ, 292 ხმის უმეტესობით 237 ის წინააღმდეგ, ფურნიერისაგან შესწორებული წინადადება მიიღო. ოპოზიციის ზოგიერთმა წევრმა მმართველობას მიაძახა: „სამსახურს თავი დაანებეთო“, მაგრამ მმართველობამ ნდობის შესახებ კითხვა არ აღძრა და ამის გამო ამ გარემოებას დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას არ აძლევენ.

ჩინეთი. გაზ. „China Telegraph“-ის სიტყვით, ჩინეთში ყველა დასები იმპერატორს თურმე უჭერენ მხარსა და მისს კვალად დაბრუნებას საქვეყნო საქმეთა სამმართველოდ აღტაცებით მგებებიან, თუმცა მანჯურიის დინასტიისა დაუძინებელნი მტერნი არიან. რომ ეს თავისი ერთგულობა და თანაგრძნობა იმპერატორის მიმართ როგორმე გაამართლონ, წარმოიდგინეთ, ჩინელებმა შემდეგი უცნაური ლეგენდაც-კი შეთხზეს მისს შესახებ. იგინი ამტკიცებენ, რომ იმპერატორი ნამდვილი ჩინელია და არა მანჯურელი. აი, ლეგენდა რას მოგვითხრობს: ახლანდელის დინასტიის მეორე იმპერატორს კონგ ხოს საყვარელი ცოლი ჰყავდა, რომელსაც დიდს ხანს შვილი არ ეძლეოდა თურმე. ბოლოს მიეცა შვილი, მაგრამ ბედმა უმტყუნა და ქალი დაებადა. იმავე დამეს იმპერატორის ერთს საყვარელს გენერალს ვაჟიშვილი მიეცა. იმპერატორმა რომ ეს შეიტყო, მაშინვე ერთგული ხალხი მიუჩინა და თავისი ახლად დაბადებული ქალი ამ გენერლის ვაჟიშვილზედ შეაცვლევინა. ამ რიგად ჩინელის გენერლის შვილი შემდეგ იმპერატორი გახდა.

გაზეთის სიტყვით, ჩინეთის ისტორიულ წიგნებში ამის შესახებ არა არის-რა ნათქვამი და შეთხზულია მხოლოდ იმიტომ, რომ კვანსუს მიმართ ერთგულობა და მანჯურიის დინასტიისადმი მტრობა გაამართლონ როგორმე ჩინელებმა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შტატ კანზასში ადგილობრივ მანდილოსნებს დიდი ბრძოლა დაუწყვიათ ლოთობის წინააღმდეგ. ამ საქმეს სათავეში უდგა მეტად მხნე ქალი ნასიონი. ქ-ნ ნასიონის ჯარი (ასე ეძახიან ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლთ) ამ ჟამად ათი-ათასის ქალისაგან შესდგება თურმე. ამ ქალებს გადაუწყვეტიათ ყოველი საშუალება იხმარონ ლოთობის მოსასპობად; ხშირად ქუჩებში დუქნებსა და რესტორანებს ჰკეტავენ ძალით. „ნასიონის ჯარი“ დღითი-დღე იზრდება. დღეს მათ კანზასის თითქმის ყველა ქალაქი ხელში უჭირავთ. ქალები ქუჩა ქუჩა დადიან, ფსალმუნებს გალობენ და ჰკეტავენ იმ დუქნებსა და ლუდხანებს, სადაც მაგარის სასმელებით ვაჭრობენ. პოლიციას ვერაფერი გაუწყვია ამ ქალების წინააღმდეგ. ბევრჯელ შეტაკებაც მოსვლია, მაგრამ დამარცხებული სიმცირისა გამო. ბევრ პოლიციელს ჩამოაკაწრეს სახე ამ თავზედ ხელაღებულთ, ბევრ დუქანსა და რესტორანში დალეწეს ჰურჭელი, ფანჯრები და კარებები; თვით დუქნების პატრონთ ხომ სულ თავ-ბედი აწყევლინეს. ამათგან 80 კაცზედ მეტს თავი გაუტეხეს და ცხვირპირი ჩაულეწეს ჯოხებითა და ქოლგებით, როგორც ამბობენ, ამ ბოლოს დროს დედაკაცებს მრავალი მამაკაციც მიემხრო თურმე.

* *

ამერიკაში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ხელოვნურად მომზადებული რძე გაჩნდა თურმე. ამ ხელოვნურ რძეს მოსამზადებლად შემდეგ ნივთიერებებს ხმარობენ: წყალს, ქონს, ალბუმინს, კაზეინს, შაქარს, მჟავბადს, წყალმბადს, აზოტს, გოგირდ-ნახშირმბადს, კრეოტინს, პეპტონს და ტიროზინს. დამმზადებელნი განცხადებაში ზოგიერთების ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ქიმიურის შედგენილებით ხელოვნური რძე არაფრით არ განსხვავდება ბუნებრივ რძისაგან. მაგრამ ამას გარდა პირველ რძეს ბევრი უპირატესობა აქვს მეორესთან: ხშირად ძროხის ან სხვა საქონლის რძე უსუფთაოა; ამას გარდა ზოგჯერ საქონელი ავადმყოფია და ასეთის საქონლის რძე მავნებელია; ხელოვნურად მომზადებულ რძეს-კი არც ერთი ეს ნაკლულევანება არა აქვს.

* * *

შესანიშნავ გერენს, რომელმაც ამ ორის წლის წინად თავისის „შაბროლის სიმაგრით“ თავი იჩინა პარიჟში, მიმბაძველნი აღმოსჩენიან. ქალაქ ტრუაში, ამას წინად გერენის მაგალითისათვის მიუბაძნია ვიღაც კოკარს, რომელიც იმ არე-მარეში მოხერხებულ ქურდად იყო ცნობილი. უკანასკნელ ქურდობის დროს პოლიციას ყველაფერი გაუგია და კაცები გაუგზავნია კოკარის შესაპყრობად. კოკარს-კი ამ დროს კარები ჩაუკეტნია და საბრძოლად მომზადებულა: რევოლვერით ხელში ფანჯარასთან დამდგარა და სროლა დაუწყია. ჟანდარმებს ვერ გაუბედნიათ ახლო მისვლა. მეორე დღეს აუარებელი ხალხი შეკრებილა ამ უცნაურ „სიმაგრის“ ასაღებად. პოლიცია თუმცა სცდილობდა უბედურების თავიდგან ასაცილებლად ხალხის განდევნას, მაგრამ ვერ მოუხერხებია. კოკარს ამ დროს დაუჭრია რევოლვერის ტყვიით ერთი დედაკაცი და ერთი ბავშვი. ასე უნაყოფოდ გაუვლია მთელ დილას. ნასადილევს ერთ მუშას რად ვოლფლეს, კოკარის კარგ განუზრახავს იმის გამოლაპარაკება; ფანჯარასთან მისულა და დაუძახნია, მაგრამ კოკარს პასუხის ნაცვლად რევოლვერი გაუსროლია და იქვე მოუკლავს მუშა. მოკლულის გვამი ძლივს გაუთრევიათ. ალყა კოკარის სახლისთვის შაბათს შემოურტყავთ; კვირას, თითქმის მთელი დღე, კოკარი რევოლვერს ისროდა ფანჯრიდგან; ორშაბათს-კი სროლის ხმა აღარ მოისმოდა. უთუოდ გაიქცა სახლიდგანაო, უფიქრია პოლიციას. მაინც ორშაბათსაც დაუცდიათ და მხოლოდ სამშაბათს გამოუმტვრევიათ სახლის კარები და შიგ შესულან. სახლი ცალიერი დახვედრიათ. ხანგრძლივის ძებნის შემდეგ ერთის პატარა ოთახის კუნჭულში უნახავთ კოკარი თოკზედ ჩამოკიდებული და თავგაჩეხილი. ჩამოკიდებულა-რა თოკზედ, კოკარს შემდეგ რევოლვერი უსროლია შიგ შუბლში.

* *

ჟენევის უნივერსიტეტში მოსწავლე ქალთა რიცხვმა ძალიან იმრავლა. იმდენი სტუდენტი ქალი, რამდენიც წლეულსა სწავლობს, არასოდეს არა ყოფილა იქ. სამკურნალო ფაკულტეტზედ მოსწავლე ქალთა რიცხვი 197-თა სჭარბობს ვაჟთა რიცხვს. უმრავლესობას რუსეთის ქვეშევრდომნი შეადგენენ.

* * *

ამას წინად ინგლისში დაიბეჭდა კაპიტანის კერნსის წიგნი ამ სათაურით: „მომავალი ვატერლოო“, რომელშიაც ავტორი აღგვიწერს მომავალ, სახელდობრ 1903 წლის, ომს ევროპის სახელმწიფოთა შორის. დიდი წინასწარმეტყველი ყოფილა ეს კაპიტანი. იმის სიტყვით, ამ ომში ცალ მხარეს იქმნებიან ინგლისი, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი, მეორე მხარეს—საფრანგეთი და რუსეთი. კაპიტანის წინასწარმეტყველებით, ომის დაწყებისათანავე ინგლისის ფლოტი გაანადგურებს საფრანგეთის ფლოტს, ჩაჰკეტავს სადმე რუსეთის ფლოტს და მოსწყვეტავს საფრანგეთს საკუთარსავე ახალშენებს. ამავე დროს გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის ჯარი აღმოსავლეთით მიწასთან გაასწორებს რუსეთის ჯარს, ხოლო დასავლეთით—საფრანგეთის ჯარს. ამ რიგად საფრანგეთს ბოლო მოეღება. ესაა, ავტორის აზრით, „მომავალი ვატერლოო“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 იანვარი

პეტერბურგი. 30 იანვარს ხელმწიფე იმპერატორმა კადეტთა საზღვაო კორპუსში მიბრძანება ინება.

30 იანვარს ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა ჰერცოგინამ ჰესსენისამ დოქტორის ხორონის ორტოპედიული სამკურნალო ინახულეს.

სტოკჰოლმი. ამ ბოლო დღეებში დედოფალს აღარ აციებს, მაგრამ ჯერ ჯერობით ლოგინში უნდა იწვეს ისევ.

პარიჟი. როგორც გერენალი ბუარონი იუწყება, პეკინ-პაოტინფუს რკინის გზის ლიანდაგით მიმოსვლა 20 იანვრიდგან დაწყებულა.

კაპშტადტი. როგორც დელაგოადგან იუწყებიან, ტრანსვაალის ჩრდილოეთით მცხოვრებნი ბურების წინააღმდეგ აჯანყებულან.

კვინსტაუნი. გენერალმა ბრაბანტმა კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც განსაკუთრებულად თხოულობდა, რომ ახალშენის დასაცველად ფერმერები სამხედრო სამსახურში შევიდნენ ხოლმე, როგორც თავისუფალნი მეომარნი.

ვილლისტოუნი. პოლკოვნიკის დელილის რაზმმა კალვინიიდგან 72 მილი გაიარ

შესახებ სამახსოვრო ბარათი წარუდგენია, რომლითაც ურჩევს თურმე: ჯერ ერთი, გააუქმოს ეგრედ წოდებული წვრილი გარდასახადი ნაოსნობისა შუა ქვეყანაში და დააწესოს იგი უცხოელთაგან შემოსულს საქონელზედ, რომელიც-კი უცხო სახელმწიფოთა საბაჟო დაწესებულებათაგან მოდის; მეორე, დაინიშნოს საგანგებო სავაჭრო კომისსარი, რომელმაც უცხო ქვეყნების ვაჭრობის საქმე ზედმიწევნით უნდა იცოდეს და იცხოვროს შანხაიში; მესამე, გაიმართოს ზარაფხანები, სადაც თითო დოლარად ღირებული ფული უნდა იჭრებოდეს და მეოთხე, საბაჟო გარდასახადს მოემატოს.

პრეტორია. როგორც ხმა დადის, შაბათს, ნორვალსპონტიდგან ჩრდილოეთით სულ რამდენისამე მილის მანძილზედ დევეტი ორანჟეს მდინარეს გასულა და ფილიპსტოუნისაკენ მიდის თურმე. დევეტს ინგლისელთა ხუთი რაზმი სდევნის. ყველა ფონები დაჭერილია და ყველგან ნაღმები ჩაწყობილი.

31 იანვარი

ვენა. მილანის გვამს სამეფო პატივისცემით პარასკევს დაჰკრძალავენ. საგანგებო მატარებლით, რომელშიაც წარჩინებულნი ჯარის-კაცნიც იქმნებიან, მეფის ნეშტს კრუშედოლის მონასტერში გადაასვენებენ.

ცეტინიე. ჩერნოგორიის მთავარმა სერბიის მეფეს სამძიმარი და ძმური თანაგრძნობა გამოუცხადა.

მასსერუ. ინგლისელებმა დაიპყრეს ფიკსბურგი. ვეპენერი დასცალეს ინგლისელებმა და ბურებმა დაიპყრეს.

კოლესბერგი. ბურთა რაზმი 28 იანვარს გამოჩნდა გომელფონტანში, სადაც ბრძოლა ასტყდა; ერთი ინგლისელი მოკლულია. ბურები მრავლადა სდგანან დონკერფორტის უკან სიმაღლეებზედ, კორვალსპონტის ჩრდილოეთით.

ლორენცო მარკეზე. ციებ-ცხელების დროს დადგომისათანავე ამ სენმა საშინლად დაიწყო მძვინვარება; ქალაქის მცხოვრებთა შორის ავად მრავალნი არიან. ინგლისელთა შორის ბევრი დაიხოცა, აქ გამოქცეულ ბურთა შორისაც მრავალი დაიხოცა.

პაოტინფუ. ამას წინად გაიგზავნა რაზმები ხუთის მახლობელ ქალაქის მუდმივ დასაპყრობად; ეს ქალაქები გერმანელთა სამოქმედო წრეშია; თითოეული ქალაქი დაჭერილი აქვს რაზმს მცხოვრებთა დასაცველად ძარცვისაგან.

ლონდონი. ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 2» იანვარს წაბრძანდნენ ლონდონიდგან.

ბუქარესტი. თავად გიორგი კანტაკუზენმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენის კვლავ ცდისაგან.

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიან-გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	217
$3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	$89\frac{1}{8}$
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	100	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	$92\frac{1}{2}$	— „	— „
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	$93\frac{7}{8}$
$4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა	$86\frac{1}{4}$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	— „	— „	$93\frac{5}{8}$
$4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . .	— „	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	= „	334
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	— „	— „	293

მცირე შენიშვნა

„ცნობის ფურცლის“ წარსულის წლის უკანასკნელს ნომრებში წავიკითხეთ ანგარიშები მეაბრეშუმეთა კრებების, რომელიც ტფილისში მოხდა. სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ: ბ-ნს ი. ქუთათელაძეს წარუდგენია კრებისთვის პროექტი წესდებისა, რომლითაც მეაბრეშუმეთა ამხანაგობები უნდა არსდებოდნენ ჩვენში. ბ-ნის ი. ქუთათელაძის უმთავრესი აზრი ამ წესდებაში ის არის, რომ მეაბრეშუმეთა ამხანაგობები არტელის მსგავსათ იყოს შემდგარი, ისე რომ ამხანაგობის წევრთ თავისი მოწეული პარკი მოჰქონდეთ იქ და ფულს არა თხოულობდნენ ამხანაგობისაგან, ვიდრემდის ამხანაგობა პარკს გაჰყიდიდეს. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ გაგვაკვირვა შემდეგმა: იგივე ბ-ნი ქუთათელაძე სთხოვს კრებაზედ მყოფს სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველს, რომ იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, და სახელმწიფო ბანკმა მეაბრეშუმეთა ამხანაგობებს სესხი მისცეს. სახელმწიფო ბანკას მმართველიც ყურადღებას აქცევს მისს თხოვნას და ჰპირდება მთელს კრებას, რომ იგი იშუამდგომლებს კრედიტი გაეხსნას იმ გვარ ამხანაგობებს, რომლებიც ბ-ნის ქუთათელაძის წესდებით იქნებიან დაარსებულნი. დიდად სასურველი და საჭირო იყო, რომ სახელმწიფო ბანკს კრედიტი გაეხსნა მეაბრეშუმეთა ამხანაგობათათვის, მაგრამ თუ მართლა სახელმწიფო ბანკმა მარტო ისეთს ამხანაგობებს გაუხსნა კრედიტი, რომელთაც წევრებმა პარკი უფასოდ უნდა ჩააბარონ გაყიდვამდის და, მაშასადამე, ფული სამისოდ არ დასჭირდებათ, ეს სწორედ რომ სატირალი იქნება!

ი. გორდაძე

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ კნ. ციცინა და მარიამ ერისთავისას, მარ. ძნელაძისას, სალომე კერესელიძეს, ოლღა ლ. ქორქაშვილისას, კნ. კაკო ქოჩაქიძისას, ნოე ა. მხეიძესა და თომა მთავრიშვილს, რომელთაც ქველ-მოქმედთა შორის ჩემ სასარგებლოდ 154 მან. მოაგროვეს და გაჭირვების დროს მომაწოდეს.

დიდს მადლობას ვწირავ აგრეთვე ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს:

გიორგი ზდანოვიჩმა 5 მან., ს. ი. მოსიძემ 3 მ., ა. ს. წულუკიძემ 1 მ., ბ. ემერიკმა 5 მ, ივანე X-მა 3 მ., მიხაილოვმა (ინჟენ.) 3 მ., გ. ცერცვაძემ 2 მ., ა. ნანეიშვილმა 2 მ., გ. ღოღობერიძემ 2 მ., დ. იაშვილმა 1 მ., კ. მდივანმა 1 მ., № 1 მ., პ. ყიფიანმა 1 მ, ს. ჯაფარიძემ 2 მან., №-მა 70 კაპ., ისააკიმ 1 მ., №-მა 1 მან., იროპულოვმა 35 კაპ., ცერცვაძემ 25 კაპ., ტაბუკაშვილმა 25 კაპ., ილ. გამყრელიძემ 1 მან., წერეთელმა 1 მ., უცნობმა 1 მ., ვ. წერეთელმა 1 მ., ს. აბესაძემ 1 მან., არისტარხო ავგერინომ 2 მან., უცნობმა 50 კაპ., ს. მერკვილაძემ 2 მ., შ. ნ. კ. 2 მ., ი. მაჭვიტაძემ 1 მ., ჯაბამ 2 მან., ელეონორამ 2 მ., ფეოდოსიამ 1 მ., კ. კვირკველიამ 2 მან., ივ. ჭაიანმა 2 მან., დიდ. ჩიკვაიძემ 1 მან., მეფისოვმა 1 მან., კ. დგებუაძემ 1 მან., ნ. გუგუშვილმა 1 მ., ლოსაბერიძემ 3 მან., იაშვილმა 1 მან., დ. ნიჟარაძემ 1 მ., ს. თ. ხუნდაძემ 1 მ., თ. ნ. ი. 1 მ., მ. ერისთავმა 1 მ, ივლიტა იოანესიანცმა 2 მ., კნ. დ. დადიანმა 1 მ., კნ. თ. დადიანმა 1 მ., კნ. ოტია დადიანმა 1 მ., გ. ქავთარაძემ 50 კ., ლ. ჯლანჯლავამ 25 კ., ბაბანიძემ 17 კაპ., ჭანტურიამ 10 კ., ა. საჩინოველმა 50 კაპ., იონა მეუნარგიამ 1 მ., №№-მა 1 მ., სალ. კერესელიძემ 2 მ., ვ თუმანიშვილმა 1 მ., აბულაძემ 1 მ., ს. კერვ.—1 მ, მ. ვარდასანიძემ 1 მ., პ. სურგულაძემ 1 მ., ბ. მამფორიამ 50 კ., ს. კემულარიამ 1 მ., მ. ჩოგავაძემ 1 მ., ლ. კოკოჩევმა 1 მ., №-მა 50 კ., დ. რუხაძემ 50 კ., №№-მა 1 მ., პ. ჭიჭინაძემ 1 მან., თ. დათეშიძემ 50 კ., მინად. მიქაბერიძემ 2 მან., ოლღა ქორქაშვილმა 1 მან., მარ. ძნელაძემ 3 მ., სპ. ჯორჯიკიამ 1 მ., მ. ძნელაძემ 1 მ., ა. მიხალოვმა 5 მ., დ. ბ. მდივანმა 1 მ., თავ. ნ. თავდგირიძემ 1 მ., გ. ვ. ზდანოვიჩმა 5 მ., ს. წერეთელმა 3 მან., ფ. შულცმა 2 მ., ნინა შერვაშიძემ 1 მ., ნოე მხეიძემ 5 მ., ქიქოძემ 1 მ., თ. მთავრიშვილმა 50 კ., ს. როფაქიძემ 50 კაპ., იას. ნიკოლაიშვილმა 50 კ., ჩინჩალაძემ 50 კ., ლ. ანჯაფარიძემ 50 კ., ე. მეფისოვმა 50 კ., ელ. მაჭავარიანმა 50 კ., ელ. ჟუკოვსკაიამ 50 კ., ს. ბუტულოვმა 50 კაპ., ს. კომპანიონმა 50 კ., ნ. მიქელაძემ 50 კ., თ. მაჭავარიანმა 50 კ., ა. ბადრიძემ 50 კ, ი. ოცხელმა 60 კაპ., ე. ლორთქიფანიძემ 50 კაპ., კ. ბირ. 50 კ., №№ 2 მ., სევასტი ერისთავმა 1 მ., ჭიათურიდგან მეორე უცნობი 50 კ.. ჭიათურიდგან უცნობებისაგან 4 მან., რამაზიმ ამხანაგებიანათ 15 მან. 85 კაპ.

ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი
ამვროსი პ. სვანაძე

◆

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ტფილისის წყლის მილის აბონენტების საყურადღებოდ, რომ ამიერიდგან მათ აღარ დაეგზავნებათ ის განსაკუთრებული უწყებები, რომლებშიაც აღნიშნულია ვადა წყლის სარგებლობისათვის გარდასახად ფულის შეტანისა. ამის ნაცვლად გამგეობა აბონენტებს გაუგზავნის ანგარიშის ქაღალდს, რომლის მეორე გვერდზედაც დაბეჭდილი იქმნება წესები წყლით სარგებლობისა. ამ წესების ძალით აბონენტი ვალდებულია შეიტანოს ხოლმე ქალაქის კასსაში ფული ანგარიშის მიღებიდგან **15 დღის განმავლობაში**, ხოლო ვინც არ შეიტანს, იმას წყალი მოესპობა.

აბონენტებისავე საყურადღებოდ აცხადებს გამგეობა, რომ, წყლის საზომის დროზედ გასასინჯად, კანტრალიორებს იქ, სადაც ასეთი საზომებია, დაუბრკოლებლივ უნდა შეეძლოთ შესვლა. (3—6.—2)

იყიდება

შემთხვევით ნახევარი დესეტინა **ნავთიანი ადგილი ქალაქ ბაქოში** „სარაიაში“ ას ორმოც თუმნად (1400 მანეთად).

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში ორბელიანის ქუჩაზედ, № 38. (3—22—3)



როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა

გ. შ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—5.—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
თხზულებანი ვაჟა ფშაველასი	1	„
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა	„	5
საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე	„	10
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	„	30
ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა	„	15
საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი	„	40
ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა	„	5
შ. არაგვისპირელის თხზულებანი	„	50
სიტყვიერების თეორია	1	„
ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი	1	50
ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა	„	5
Заслуги грузинскаго монашества Е. К.	„	30
Двѣнадцативѣковая борьба	„	50
Грузинскіе поэты, Тхоржевскаго	„	30

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—35)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—36)

31-го Января 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე